



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 29

2013 წლის 8 თებერვალი

ქალაქი ხაშური



თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის და „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის N525 ბრძანებულების შესაბამისად,

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით შეიქმნას თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ალექსანდრე ჩაჩანიძე – კომისიის თავმჯდომარე
- ბ) თამაზ ბურნაძე – თავმჯდომარის მოადგილე
- გ) გიორგი ნოზაძე – კომისიის წევრი
- დ) ზვიად ქურდაძე – კომისიის წევრი
- ე) თამაზ ლომიძე – კომისიის წევრი

2. ეს განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად:

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე